გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2020-2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:** ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა

2. **თემატიკა:**
(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)
მოქალაქეთა მონაწილეობა, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება.

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:** ხაშურის მუნიციპალიტეტი

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**
ხაშურის მუნიციპალიტეტი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, შიდა ქართლის ვაკეზე მდებარეობს. მისი ფართობი 585,2 კმ2 და საქართველოს მთლიანი ფართობის 0,84 %-ს შეადგენს. აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება ქარელის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით საზღვრავს საჩხერის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით და დასავლეთით - ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით კი ხარაგაულის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის საზღვრების საერთო სიგრძე 118 კილომეტრია. მანძილი დედაქალაქიდან ხაშურამდე 120 კმ, ხოლო რეგიონული ცენტრიდან 47 კმ. მუნიციპალიტეტში არის ერთი ქალაქი - ხაშური, ერთი დაბა - სურამი და 11 სასოფლო ადმინისტრაციული ერთეული (ალი, გომი, ოსიაური, ფლევი, ქვიშხეთი, ცოცხნარა, ცხრამუხა, წაღვლი, წრომი, ხალები, ხცისი), რომელთა შემადგენლობაშიც კიდევ 84 სოფელი შედის. მოსახლეობა 65 ათასამდეა, მისი ძირითადი ნაწილი ქალაქსა და დაბაში ცხოვრობს.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;
- პროექტის მიზანია ქალაქ ხაშურში მცხოვრები, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების სამუშაო ადგილზე დამაგრების ხელშეწყობის განხორციელება. პროექტის დაფინანსების წყაროა 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი. პროექტის განხორციელებისთვის ბიუჯეტში

გათვალისწინებული თანხა შეადგენს 24 000 ლარს. პროექტის პირდაპირი ბენეფიციარია 48 პედაგოგი, რომლებიც მუშაობენ ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მაღალმთიანი სოფლების - წაღვლის, ბროლოსნის, ცოცხნარის, ქემფრის, ტკოცის, ფლევის საჯარო სკოლებში. ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურს ცენტრთან და ადგილობრივ სატრანსპორტო კომპანიებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტი ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას რათა ხელი შეუწყოს როგორც პედაგოგების სამუშაო ადგილზე დამაგრებას, ისე სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციის პრევენციას.

- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

- მუნიციპალიტეტი ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურს ცენტრთან და საჯარო სკოლებთან და ადგილობრივ სატრანსპორტო კომპანიებთან თანამშრომლობით რათა ხელი შეუწყოს როგორც პედაგოგების სამუშაო ადგილზე დამაგრებას, ისე სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციის პრევენციას.
-

6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:
(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;
  პედაგოგების საათობრივი დატვირთვა ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე და მაღალმთიანი სოფლების სკოლებში არ არის მაღალი, სკოლებში მოსწავლეთა მცირე კონტიგენტის გამო. შესაბამისად, მათი სახელფასო ანაზღაურების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდებოდა მათივე ტრანსპორტირებას სამუშაო ადგილზე, რაც ერთის მხრივ მძიმე ტვირთად აწვებოდა პედაგოგების პირად ბიუჯეტს, მეორეს მხრივ კი ხელს უწყობდა მაღალმთიანი და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სკოლებიდან კადრების, განსაკუთრებით კი კვალიფიციური პედაგოგების გადინებას. მუნიციპალური პროგრამა მიზნად ისახავს აღნიშნული პრობლემის გადაჭრას.
- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
  პროგრამის შემუშავებამდე პედაგოგები საკუთარი შემოსავლებიდან ფარავდნენ მგზავრობის ხარჯებს, რაც მათთვის მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯი იყო. ასევე იყო მცდელობა, რომ მოლაპარაკება ყოფილიყო სკოლებსა და ტრანსპორტის მძღოლებს შორის პედაგოგების უფასო გადაადგილებასთან დაკავშირებით, რაც ყველა ჯერზე უშედეგო აღმოჩნდა, ვინაიდან სოფლის ტრანსპორტი ისედაც მგზავრთა მცირე

რაოდენობას ემსახურება და მძღოლებისთვის თითოეული მგზავრის საფასური მნიშვნელოვანია.

- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი
  აღნიშნული გამოცდილების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტში შემუშავდა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფას.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**
  ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა ითვალისწინებს კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფას. პროგრამის მიზანია ქალაქ ხაშურში მცხოვრები, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების სამუშაო ადგილზე დამაგრების ხელშეწყობა. პროექტის პირდაპირი ბენეფიციარია 48 პედაგოგი. პროექტის პირდაპირი ბენეფიციარები არიან ასევე ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების - ბროლოსნის, წაღვლის, ფლევის, ტკოცის, ქემფრის, ცოცხნარის საჯარო სკოლების მოსწავლეები (100 მოსწავლე). პროექტის არაპირდაპირი ბენეფიციარია ამავე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა. (ჯამში 1000-ზე მეტი ოჯახი). პროექტის პირდაპირი ბენეფიციარები არიან აღნიშნულ სოფლებში მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები.
- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);
- კონკრეტული სკოლის პედაგოგები პროგრამის ცხრილით გათვალისწინებული მგზავრობის ღირებულებას მიიღებენ ყოველი თვის ბოლოს-შესაბამისი სკოლის დირექციის ცნობის საფუძველზე, რითაც დასტურდება პედაგოგის მიერ კვირეული დატვირთვით განსაზღვრული საათების შესრულება.

N	სკოლა	პედაგოგების რაოდენობა	ანაზღაურების ვადები წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად									
			სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი

1	სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ბროლოსნის საჯარო სკოლა	10	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ცოცხნარის საჯარო სკოლა	8	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
3	სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ქემფრის საჯარო სკოლა	10	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
4	სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი წაღვლის საჯარო სკოლა	5	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
5	სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ტკოცის საჯარო სკოლა	7	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
6	სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ფლევის საჯარო სკოლა	8	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი** (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*

  ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 28 დეკემბრის N2047 ბრძანება „ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ. (თან ერთვის)
- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამათავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ხაშურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრი. პროგრამის შემუშავებისას საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა სოფლების: წაღვლის, ბროლოსნის, ქემფრის, ფლევის, ცოცხნარას, ტკოცის სკოლების პედაგოგებთან და მოსწავლეთა მშობლებთან (მათ შორის ქალთა წარმომადგენლობა შეადგენს 80%-ს). პროგრამა მოწონებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის საკონსულტაციო საბჭოს მიერ.

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;
  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;
  პროგრამა შემუშავებულია და ადმინისტრირებულია მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - ადმინისტრაციული სამსახურისა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების მიერ; პროგრამის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი აღნიშნულ სამსახურებთან ერთად არის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური.
  პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის წყარო არის ადგილობრივი ბიუჯეტი. (გამოყოფილია 24 000 ლარი)
- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**
- პროგრამის შემუშავებისას რისკების ანალიზის დროს, არსებული ინფორმაციის საფუძველზე გადაწყდა, რომ საბიუჯეტო სახსრების განკარგვა (მასწავლებლებისთვის მგზავრობის ანაზღაურების გადარიცხვა) მოხდება ყოველი თვის ბოლოს-შესაბამისი სკოლის დირექციის ცნობის საფუძველზე, რითაც დასტურდება პედაგოგის მიერ კვირეული დატვირთვით განსაზღვრული საათების შესრულება.
- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**
  ხაშურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრი; წაღვლის, ბროლოსნის, ქემფრის, ფლევის, ცოცხნარას, ტკოცის საჯარო სკოლები.
- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

პროექტის განხორციელების შედეგად ხელი შეეწყო ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების სამუშაო ადგილებზე დამაგრებას, რაც ხელს უწყობს ამავე სოფლებში მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას და სკოლების შეუფერხებელ ფუნქციონირებას. პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია სოფლად განათლების ხელშეწყობის მიმართულებით. პროგრამის განხორციელება დადებით გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის 6 საჯარო სკოლის სტაბილურ ფუნქციონირებაზე, სადაც განათლებას იღებენ როგორც იმავე სოფლების, ისე მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსწავლეები.

უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის შენარჩუნებას 48 პროფესიონალი მასწავლებლისთვის და არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი სოფლად მოსახლეობის დამაგრებისთვის.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);
  პროექტის წარმატება განპირობებულია ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურს ცენტრის და სკოლების აქტიური ჩართულობით, სოფლების მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის შედეგების გათვალისწინებით პროექტის შემუშავების პროცესში.
- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):
  ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;
  ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;
  გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;
  დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;
  პროგრამის განხორციელებისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილი თანხა შეადგენს 24000 ლარს, პროგრამა გათვალისწინებულია მომავალი წლის ბიუჯეტშიც.

10. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**
  ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, კანონმდებლობის შესაბამისად, ამტკიცებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, სადაც შეტანილი იყო აღნიშნული პროგრამა. საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა განიხილეს პროგრამა ბიუჯეტის დამტკიცებამდე და დადებითად შეაფასეს მისი განხორციელების შესაძლებლობა. მოქალაქეების საჭიროებათა კვლევაში, რომლის გათვალისწინებითაც მოხდა პროგრამის შემუშავება მონაწილეობას იღებდნენ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში საკრებულოს მაჟორიტარი წევრები.

11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

პროგრამის განხორციელება დაგეგმილია მომავალი წლისთვის და მის იმპლემენტაციას არ შეექმნება საფრთხე იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგთა რიცხვი გაიზრდება.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);
  ნინო სუხიაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი. ტელ: 577951750; e-mail: nsukhiashvili@gmail.com
- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.
- **ლელა მაჭარაშვილი** - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - ტელ: 577954955 e-mail: x.safinanso@yahoo.com

13. **თანდართული დოკუმენტების/მასალების სია**

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითერბის გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

განაცხადის მიღების ვადაა 2021 წლის 1 ნოემბერი - 3 დეკემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

* **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge ან ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია

Khashuri City Hall

მერის ბრძანება

KA990179154790920

№ **2047** **28 / დეკემბერი / 2020 წ.**

ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებლი და მუდმივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზით საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61- ე მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამა“ და პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვროს 24 000 ლარის ოდენობით, დანართის შესაბამისად;
2. ბრძანება ეცნობოს ადმინისტრაციულ, საბიუჯეტო და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებს.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ერთი თვის ვადაში სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამათი: ხაშური, კოსტავას ქ, N15).

მერის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზვიად ქურდაძე